ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 20 მარტს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. კალანდარიშვილი, ლ. უჩანეიშვილი, ელ. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. შარტავა, ზ. ნაჭყებია, ბ. სოსელია, ბ. ნარმანია, ი. კაჭარავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: დ. ალანია; საკრებულოს წევრი: სოციალური კომისიის თავმჯდომარე ი. ქარდავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 10; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ბ. ნარმანიამ, ი. კაჭარავამ, დ. ალანიამ, ლ. უჩანეიშვილმა, ბ. კალანდარიშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7, წინააღმდეგი – 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი კალანდარიშვილი